ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სსრ კ. კ. (ბ) ცენტრ. და თბ. კომიტეტების და სახ. დეპ. ორგანო

ტელეფონები რედ.: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—88—17, სამდივნოსი 10—58, მთ. ტექნიკოსის—8—51

სამშაბათი
22
აგვისტო
1933 წ.
№ 193 (3749)

დამკვრელი ტემპები მოსავლის აღებაში
მთავარი ადგილებში

ხე-ტყის დამზადება კლასობრივი ბრძოლის საპასუხისმგებლო უბანია!

საქართველოს სატყეო მრეწველობა ერთერთი ყველაზე ჩამორჩენილი დარგია საწარმოო სფინანსო გეგმების შესრულების მხრივ. სატყეო მრეწველობის ტრესტს მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გეგმით უნდა დაემზადებია — 245.630 კუბომეტრი ხე-ტყე და შეშა, ფაქტიურად დამზადებული იქნა 184.363 კუბომეტრი, გეგმის 75 პროც. იმავე დროის განმავლობაში უნდა გამოზიდულიყო 205.637 კუბომეტრი, ნამდვილად კი გამოზიდულია 129.210 კუბომეტრი, გეგმის 62,8 პროცენტი.

ივლისში გარღვეული ფრონტი ოდნავადაც ვერ გამოსწორდა. პირიქით, სატყეო მრეწველობის მუშაობა უფრო გაუარესდა. ივლისში ტრესტის ხაზით ომაზადებული უნდა ყოფილიყო 29.602 კუბომეტრი ხე-ტყე, ფაქტიურად დამზადდა — 14.825 კუბომეტრი, გეგმა შესრულდა 50 პროცენტით. უნდა გამოზიდულიყო 70.127 კუბომეტრი, ნამდვილად გამოზიდულია 42.639 კუბომეტრი, გეგმის 60,8 პროცენტი.

თუ ივლისში ხის დამმუშავებელ ქარხნების მუშაობას, აქ ჩამორჩენა უფრო სჯარხნობია. მცხეთის ხეტყის სახერხმა ქარხანამ ნახევარი წლის გეგმა პროდუქციის გამოშვების დარგში შეასრულა — 95.5 პროცენტით, ხოლო ივლისის გეგმა — 65,3 პროცენტით; ზუგდიდის ქარხანამ საწარმოო დავალება შეასრულა პირველ ნახევარ წელში 47,4 პროც., ივლისში კი — 29,2 პროცენტით, ბორჯომის საკასრე ქარხანამ — 82,6 პროც. (ივლისში ქარხანა აო მუშაობდა რემონტის გამო), მარელისის გრეხილ - ავეჯეულობის ფაბრიკამ კი წლის პირველი ნახევრის გეგმა შეასრულა — 65,3 პროც., ხოლო ივლისის —27.5 პროცენტით

ძალზე ცუდი მდგომარეობაა ფართო მოხმარების საგნების გამოშვების მხრივ. ნახევარი წლის გეგმა დამზადების დარგში შესრულდა — 27,7 პროც., ხოლო გამოზიდვის დარგში — 12,6 პროცენტით. ივლისში დამზადების გეგმა შესრულებულია 9,7 პროც., ხოლო გამოზიდვის —1,4 პროცენტით.

რას მოწმობენ მოყვანილი ციფრები? იმას, რომ საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტი სამარცხვინოდ ჩამორჩება იმის მიზეზის, რომ ტრესტი მოწყვეტილია საწარმოებს, კონკრეტულ - ოპერატიული ხელმძღვანელობა შეცვლილა ხელმძღვანელობის კანცელიარულ - ბიუროკრატიული მეთოდით. ტრესტმა ვერ გაითვალისწინა, რომ: „ხე-ტყის დამზადება კლასობრივი ბრძოლის საპასუხისმგებლო უბანია“ („პრავდა“).

იხ. სტალინის ექვსი მითითება ხე-ტყის დამზადება - გამოზიდვა — დაცურებაზე გატარებული არ არის, რის გამო სატყეო სამუშაოებზე მუშა-ხელის დიდ ნაკლებობას აქვს ადგილი. პირველ კვარტალში დამზადებაზე მუშა-ხელი იყო გეგმას 72,3 პროც., გამოზიდვაზე — 57,8 პროც., ხოლო დაცურებაზე — 45 პროცენტი. ხე-ტყის დამზადებაში შექმნილი მუშებისათვის არ არის შექმნილი შესაფერი საყოფაცხოვრებო პირობები: არ არის ბინები, ცუდია კვება და მომარაგება, თვითობით აგვიანდება ხელფასს. ხელფასის დავალიანება სატყეო სამრეწველო მეურნეობებში აღწევს ორ მილიონ მანეთს, აქედან 862.000 მანეთი მარტო ინგურის მეურნეობაზე მოდის.

სატყეო - სამრეწველო მეურნეობებს არ გააჩნიათ საკმაო სამანათო ტრანსპორტი, მაგრამ რაც ჰყავთ, იმასაც ვერ უვლიან რიგიანად. ტრანსპორტზე გამეფებულია გაუპასრობა, მოუვლელობის გამო მუშა საქონელი ჩქარა გამოდის რიგიდან და ზოგჯერ იხოცება კიდეც. მექანიკური ტრანსპორტი არ არის სათანადოთ გამოყენებული.

თუ არა ტრესტის და ადგილობრივი ადმინისტრაციის ცუდი ხელმძღვანელობით, რითი უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი ზუგდიდის ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელიც სავსებით უზრუნველყოფილია ნედლეულით (ქარხნის სამერქნო ბირეაზე ამჟამად აწყვია 15.000 კუბომეტრი მერქანი, ხოლო ჯვარში — 45.000 კუბომეტრი), უდიდესი გაორკეცვით მუშაობს, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ქარხანამ ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 47,4 პროც., ხოლო ივლისის — 29,2 პროც. სატყეო მრეწველობის ტრესტმა დღემდე ვერ უზრუნველჰყო ქარხანა სათანადო ტექნიკური ხელმძღვანელობით, მოუგვარებელია საწარმოო პროცესები, ქარხნის მუშაობას მრავალი ტექნიკური დეფექტი ახასიათებს.

საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტის ხელმძღვანელობას უუნარობამ და უთავბოლობამ განსაკუთრებით თავი იჩინა კახეთის ტყეში მუშაობაზე. რამოდენიმე წელია წარმოებს ბზიბის და ინგურის ქაღალდის კომბინატების მშენებლობა, რაზედაც უკვე დახარჯულია 12 მილიონი მანეთზე მეტი, უმთავრესად აპარატის შენახვაზე და სხვა არა საწარმოო ხარჯებზე, თვით მშენებლობა კი დღემდე არ არის გაშლილი, არ არის შედგენილი ახლო მდებარე ტყის მასივების დამუშავების გეგმა და შენებლობის ტექნიკურ - ეკონომიურად დასაბუთებული პროექტები. ხის დამუშავებელი ქარხნების აგების წინ არ უძღვის ნედლეულის ბაზის სერიოზული შესწავლა, ქარხნები მოწყვეტილია ნედლეულის ბაზას (მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკა, ბათომის ხის დამმუშავებელი ქარხანა), რაც იწვევს შეფერხებებს ნედლეულის მიწოდებაში. ამ დაუდევრობასა და უპასუხისმგებლობაში დაძაბავე პირები დღემდე არ არიან მიცემული სამართალში.

აქვე უნდა აღინიშნოს პარტიული ორგანიზაციების სუსტი მუშაობა ხე-ტყის სამუშაოებზე და კაპიტალურ მშენებლობის ობიექტებზე. მათ დროზე ვერ ასტეხეს გადგაში ტყის დამუშავებაზე და მშენებლობაზე შექმნილ მდგომარეობის შესახებ, ვერ დარაზმეს პარტიული და უპარტიო მუშები არსებულ დეფექტების აღმოსაფხვრელად და ბოძოლის გასაძლიერებლად საწარმოო გეგმების შესრულებისათვის. პარტიული ორგანიზაციების სიფხიზლის მოდუნებით უნდა აიხსნას ის უმსგავსო ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა აფხაზეთში ფაშების პოლიტიკის გატარების დარგში. აფხაზეთის სატყეო მრეწველობის ტრესტმა უკანონოთ გაადიდა ფასები დახურულ მასალებზე 140-დან 170 პროცენტამდე. მან ხე-ტყის გამსაღებელ საკავშირო გაერთიანების ამიერ - კავკასიის განყოფილებასთან დადებულ ხელშეკრულებაში შეიტანა მუხლი, რომლითაც ფულებას იტოვებდა თვითონვე დაწესებია ფასები, მაშინ, როდესაც ფასებს სატყეო მასალაზე აწესებს შრომისა და თავდაცვის საბჭო და საკავშირო სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი.

საქართველოს სატყეო მრეწველობაში შექმნილი ძდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. ტყის მრეწველობის ტრესტმა გადაჭრით უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა. ხელმძღვანელობა გაათტრებული კანცელიარულ-ბიუროკრატიული მეთოდი უნდა შეცვალოს ცოცხალი, კონკრეტული, ოპერატიული ხელმძღვანელობით.

გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს პარტიულ - მასობრივი და პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობა ტყის სამუშაოებზე. **სწორად გავანაწილოთ ძალები, მაქსიმალურად გავაძლიეროთ კლასობრივი სიფხიზლე, სათავეში ჩაუდგეთ სოციალისტურ შეჯიბრებას და დამკვრელობას.** — აი რა მოეთხოვება ხე-ტყის დამამზადებელ რაიონების პარტიულ ორგანიზაციებს. უკანასკნელი შეიძლებელია გამარჯვება ხე-ტყის დამზადების ფრონტზე, რომელიც -კლასობრივი ბრძოლის საპასუხისმგებლო უბანს წარმოადგენს“.

საქმე ეხება სატყეო რაიონების კომუნისტებზე და კომკავშირელებზეა, სატყეო მრეწველობის მუშაკებზეა!

ყოფ. ღარიბი გლეხი შეძლებული ხდება
(ცხვარელი)

ვასო ხიზანაშვილი 58 წლის მოხუცია. იგი ყველაზე უფრო ღარიბ გლეხად ითვლებოდა მთელს ყვარელში.

— ჩემს სიცოცხლეში დღე და ღამე ვმუშაობდი, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ოდესმე მთელი წლის სარჩო მომეგროვებინა, ცოლშვილი სანახევროდ მშიერი მყავდა — აცხადებს ხიზანაშვილი.

ხიზანაშვილის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან დაიწყო, ხოლო ამჟამად იგი სოფ. ყვარელის კოლმეურნეობა „დურუჯის“ წევრია.

როგორც „**კომუნისტი**“-ს მკითხველებმა იციან, კოლმეურნეობა დურუჯი, გასული წლის საფუძვლიანად გაიწმინდა იქ შეპარული უცხო ელემენტებისაგან. ამჟამად ის ერთადერთ სანიმუშო კოლმეურნეობად ითვლება. ამჟამად ამ კოლმეურნეობის მთელი რიგი წევრები ყოჯილი ღარიბი და ყოფილი საშუალო გლეხები უკვე მიმდინარე წელსვე გახდებიან შეძლებულები.

წელს კოლმეურნეობა „დურუჯის“ წევრებთან ერთად **ვასო ხიზანაშვილიც** თავდადებით მუშაობდა. მოსავალი კოლმეურნეობას საშუალოზე ჯარგი მოუვიდა. აქ უკვე იანგარიშეს და გამოდის, რომ კოლ **მეურნე თითოეულ შრომა-დღეზე მიიღებს 8 კილოგრამ პურს.** გარდა ამისა, კოლმეურნეობას აქვს პურზე მეტი სიმინდის ნათესები. კოლმეურნეობის გამგეობის ვარაუდით, სიმინდი თითეულ შრომა-დღეზე კოლმეურნეს მოუვლის არა ნაკლებ 11 კილოგრამისა.. მთლიანად კი პური და სიმინდი ერთ შრომა-დღეზე მოდის 19 კილოგრამის ნაირად.

ყოფილი ღარიბი გლეხი ვასო ხიზანაშვილი ამ ანგარიშით სახელმწიფო ვალდებულების შესრულების და ფონდების გადარიცხვის შემდეგ კოლმეურნეობიდან მიიღებს 190 ფუთს პურს და 261 ფუთ სიმინდს. გარდა ამისა, კოლმეურნეობიდან ხაზინაშვილი მიიღებს 57 კილო ყველს, მიიღებს ბრუთვე ლობიოს, კართოფილს, ღვინოს და სხვა პროდუქტებს, რომლის მოსავალიც შრომა - დღეების მიხედვით განაწილებული იქნება სექტემბრის მეორე ნახევარში.

წარსულში სიღარიბის, აუტანელი შრომისა და შიმშილისაგან წელგაწყვეტილი ვასო ხიზანაშვილი უკვე სხვანაირათ გამოიყურება. ახლა იგი შეძლებული ცხოვრების გამო სიხარულით თვალებ გაბრწყინებული თავის ოჯახური ცხოვრების კიდევ უფრო უკეთ მოწყობაზე ზრუნავს.

სამუშაოდან დაბრუნებული ვასო, საღამოზე ვახშმობის შემდეგ მოიკეცავს ტახტზე ფეხს და თავის ოჯახის წევრებთან ჩამოაგდებს ლაპარაკს ოჯახის გალამაზებაზე, წვრილფეხა პირუტყვისა და შინაური ფრინველის მომრავლებაზე, შვილების სასწავლებლად „ქალაქში“ გაგზავნაზე და სხვ.

ყვარელის კულაკებს ვერ მოუნელებიათ ყოფილი ღარიბების „კაცად გახდომა“. ისინი შესკვრიან ვასო ხიზანაშვილს, რომელიც კოლ მეურნეობიდან მისაღები მოსავლისათვის ბეღელსა და სასიმინდეს ამზადებს

მთელი რიგი ღარიბი და საშუალო გლეხები კი ყვარელელ მასწავლებლებს და კომკავშირელებს სთხოვენ განცხადებების შედგენას კოლმეურნეობაში მისაღებად.

კონკურსმა გააძლიერა მეშრომელ ქალთა ვრცელი ფენის ინიციატივა
ლეოგა საკოლმეურნეო ფარმაცევტში

ნათესების დამუშავებაში ქალთა შრომის უკეთ გამოყენებაზე ყურად. „მშრომელი ქალი“-ს მიერ გამოცხადებულ კონკურსში კოლმეურნე ქალები აქტიურად ჩაებენ.

კონკურსში ჩაბმული 40 რაიონიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სტალინისის, გუდაუთის, ოჩამჩირის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ყვარელის, ჩოხატაურის, ცაგერის, ტფილისის გარეუბნის და ლაგოდეხის რაიონების მეშრომელ ქალთა აქტიური ბრძოლა კონკურსში პირველობის მოპოვებისათვის.

კონკურსის გამოცხადების შემდეგ, ერთიორად გააზარდა კოლმეურნეობებში ქალთა აქტივობა. მაგ.: ჯუთათის თემის (ოზურგეთის რაიონი) კოლმეურნეობებში წინად მუშაობა გამოდიოდა 85 ქალი, კონკურსის გამოცხადების შემდეგ გამოსვლა იწყო 176 ქალმა, გურიანთის კოლმეურნეობაში სამუშაოზე გამოდიოდა 161 ქალი, ამჟამად გამოდის 315. ასეთი მდგომარეობაა სილაურის, დვაბზუს (ოზურგეთის რაიონი) და სხვა რაიონის კოლმეურნეობებშიც.

კონკურსმა ჩვენ მოგვცა არა მარტო სამუშაოზე გამოსული ქალთა რიცხვის ზრდა, არამედ ქალების ყურადღება გაამახვილა ნათესების წესიერ დამუშავების და მოვლის ირგვლივ.

— „**ჩვენ, ხარისხის მტკიცე დავით ვადმდე, ე.ი. 8 დღით ადრე დავამთავრეთ ჭარხლის ნათესების დამუშავება 25 ჰექტარზე**—აცხადებს სოფ. წყროძის (ტალანისის რაიონი) კოლმეურნეობის აქტიური წევრი **ბაბო გრიგოლაშვილი.** ჩვენ, — განაგრძობს ის — **ვიბრძვით მოსავლის სანიმუშო აღებით სახელმწიფოს ჩავაბაროთ ერთი ჰექტარიდან 90 ცენტნერი ჭარხალი 70 ცენტნერის ნაცვლად**“.

ცხარა-მუხის (ტალანისის რაიონი) კოლმეურნე ქალებმა 5 დღით (მამაკაცებთან შედარებით) ადრე დაამთავრეს ჭარხლის ნათესის გათხნება.

კონკურსმა საკვანძესო შედეგი მოგვცა შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია **აფხაზეთის** მშრომელ ქალთა მიღწევები. მაგ.: გუდაუთის რაიონის, სმ. სტალინის სახ. კოლმეურნეობის დამკვრელი ქალი **ფაფაზიანი** 4000 ცალი თუთუნის ნერგს აცვლიდა ყოველდღიურად რგავდა 7000 ცალ ნერგს. კოლმეურნე ქალი ტოსიანი—6000 ცალს, მინოსიანი—6000 ცალს და ა.შ.

აფხაზეთის კოლმეურნეობის მშრომელ ქალებს შრომის ნაყოფიერების გადიდებაში არ ჩამორჩება **ოზურგეთის** რაიონის ქალები. სოფ. **ნაგომარის** კოლმეურნე ქალი **ოლია მჟავანაძე** 14 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთლის ნაცვლად ღღიურად კრეფდა 20 კილოგრამს, მშვიდობაურის კოლმეურნე ქალი **რიფსიძე და იწყირეული** 10 კილოგრამის ნაცვლად კრეფდენ 13 კილოგრამს. შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში დიდი მიღწევები აქვს ლანჩხუთის, ყვარელის, ჩოხატაურის და სხვა რაიონებიც მშრომელ ქალებს.

ლანჩხუთის და ყვარელის მშრომელ ქალებმა განსაკუთრებით თავი ისახელეს აბრეშუმის პარკის დიდი მოსავლით. მაგ.: სოფ. ქვიანის (ლანჩხუთი) დამკვრელ კოლმეურნე ქალმა ყენია ნარსიამ ნახევარი კილოგრამი თესლიდან სახელმწიფოს ჩააბარა 29 კილოგრამი პირველი ნარისხის პარკი, რაც **გეგმის 181 პროცენტს შეადგენს.** ასეთი მუყაითი შრომისათვის ნარსია დაჯილდოვეს 300 მანეთით. წულაძემ, ნახევარი კილოგრამიდან ჩააბარა 28 კილოგრამი, მიიღო ჯილდოთ 200 მანეთი. სახელმწიფოს პარკი გადაჭარბებით ჩააბარა მატერიკა ბოქაულემ, ნინა წერეთელმა (ყვარელის რაიონიდან) და სხვა მოწინავე მშრომელ ქალებმა.

გასულ წელთან შედარებით ერთი-ორად გაიზარდა კოლმეურნე ქალთა შრომითი მონაწილეობა საკოლმეურნეო წარმოებაში. მაგ. კოლმეურნეობის „წითელ ოქტომბრის“ (სოხუმის რაიონი) წევრმა მარკარიანმა ივნისისთვის გამოიმუშავა 120 შრომა დღე, ვართაბიანმა—107, კაშებიანმა — 119 შრომა დღე. სოფ. ხიდისთავი (ჩოხატაურის რაიონი) „აწალშენი“-ს კოლმეურნემ მატრონა შავიშვილს ივნისამდე გამოუმუშავებული აქვს 130 შრ. დღე. კატო მელუას— 71 შრომა-დღე და სხვ.

კონკურსის დაწყების პირველ დღეებიდანვე მშრომელ ქალებს შორის ფართოდ იქნა გაშლილი სოცშეჯიბრება და დამკვრელობა. ლანჩხუთის რაიონში კონკურსთან დაკავშირებით სოცშეჯიბრებაში ჩაება 1934 ქალი, ამათგან 88 ქალმა დამკვრელად გამოაცხადა თავი, სტალინისის რაიონის კოლმეურნე დამკვრელ ქალებმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს სილნაოს რაიონის კოლმეურნე ქალები.

მოსავლის აღებასთან დაკავშირებით ქალთა შრომის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით, ლაგოდეხის რაიონში სოფლის საბჭოებთან ჩატარდა **დამკვრელ კოლმეურნე** ქალთა კონფერენცია. კონფერენციაზე სავაზაფხულო თესვის და ნათესების დაშუშავების საქმეში ჩაბმული 33 კოლმეურნე ქალი მოსავლის აღების და სახელმწიფოსათვის დაკვლელადეს 33 კოლმეურნე ქალი. დროზე და მთლიანად შესრულებისათვის ბრძოლაში კიდევ უფრო ღრმა ბიზნესის მშრომელ ქალთა მონაწილეობა და მათი კოლექტიური შრომით დაინტერესება.

საშა ჩხენკელი.

საბჭოთა კავშირში
ინსტრუქცია შეძროზო კოლმეურნეებისათვის ხბოების ყიდვის და კონტრაქტაციის წესის შესახებ

მოსკოვი, 20 აგვისტო. საბჭოთა ცენტრის მიწსახკომის მოადგილის ამხ. ციცკოს ხელისმოწერით რესპუბლიკაზე მიწსახკომებს, სიხარული და საოლქო სამიწაწყლო კომიტეტებს გაეგზავნა ინსტრუქცია უძრახო კოლმეურნეებისათვის ხბოების ყიდვის და კონტრაქტაციის წესის შეხახებ. ამ ინსტრუქციის თანახმად, კოლმეურნეობა რომელმაც მიიღო დავალება ხბოების შესყიდვის და კონტრაქტაციის შესახებ, ადგენს იმ კოლმეურნეთა სიას, რომლებიც უზრუნველყოფილი უნდა იქნან ხბოებით. ხბოების შერჩევაში აუცილებლად ღებულობენ მონაწილეობას დაინტერესებული კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები. დაკონტრაქტებულ უნდა იქნან ხბოები ორი კვირიდან ოთხი თვის ასაკამდე. საკონტრაქტაციო ხელშეკრულების დადების დროს კოლმეურნეობის გამგეობა აძლევს კონტრაქტანტს სახელმწიფო კრედიტის ხარჯზე ვალსს, რაც საკონვენციო ფასით შეადგენს ოთხი თვის ასაკის ხბოს ღირებულების ნახევარს. კონტრაქტანტებთან სპობილო ანგარიში გასწორებული იქნება ხბოს მიღების შემდეგ. კონტრაქტანტი ვალდებულია შეინახოს და გამოზარდოს დაკონტრაქტებული ხბო და ჩააბაროს იგი კოლმეურნეობას სავხებით ჯანსაღად. კოლმეურნე, რომელმაც მიიღო ხბო გამოსაზრდელად აძლევს კოლმეურნეობას ვალდებულებას, რომ იგი სწორად გამოზრდის და ხბოს და მოუვლის მას.

ხბოების-დღეებში ანგარიშში საკვების გაწილების დროს კოლმეურნეობა ვალდებულია უზრუნველყოს უძრახო კოლმეურნეები, რომლებიც ღებულობენ ხბოებს, საჭირო რაოდენობის საკვებით.

კოლმეურნეობის მოვალეობას შეადგენს შეამოწმოს, თუ როგორ ანაზავენ კონტრაქტანტები ხბოებს და სისტემატიურად ადევნოს თვალყური ხბოების გამოზრდას უძრახო კოლმეურნეების მიერ. (ადს).

ერიო ანკარაში

ანკარა, 19 აგვისტო. ერიომ ინახულა პრემიერ მინისტრი **ისმეტ ფაშა,** რომელსაც ესაუბრა ერთი საათის განმავლობაში. შემდეგ იგი ეწვია საგარეო საქმეთა მინისტრს **თევფიკ რუშტიუ-ბეის** და ქალაქის პრეფექტს (ადს).

„დალესტანის დნეპროგმუენი“

მაზაჩ-ყალა, 20 აგვისტო. ენერგეტიკის მთავარ სამმართველოს ცენტრალურმა ელექტრო-ტექნიკურმა საბჭომ დაამტკიცა „დაღესტნის დნეპროგმუენის“ (მდინარე სულაკის ჰიდრო-ენერგიის გამოყენება) პროექტი. ეს სქემა ითვალისწინებს 10 მძლავრი ელექტრო-სადგურის აგებას მდ. სულაკზე ამჟამად დამუშავებულია პირველი რიგის ჩარკვეის დანადგარის (360.000 კილოვატის სიმძლავრით) საესკიზო პროექტი. ამ დანადგარის კაშხალი იქნება ყველაზე უფრო მაღალი მთელს მსოფლიოში (233 მეტრი), იგი რამდენიმე მეტრით უფრო მაღალი იქნება, ვიდრე სახელგანთქმული ჰუვერის კაშხალი“ ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებში.

მდ. სულაკზე უკვე გაემზადვარა ჰიდრავლიკების და ჰიდრო-გეოლოგების სპეციალური ექსპედიცია, რომელიც ადგილზე შეამოწმებს ჩარკვის დანადგარის დაპროექტებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ ცნობებს და დაათვალიერებს იმ ადგილებს, სადაც აგებული უნდა იქნას ორი ზემო სადგური მდინარე ავარიის კოისუსა და ანდიის კოისუზე. სულაკზე აგრეთვე მიემგზავრება „ვლაპვაგეტმეტის“ ბრიგადა, რომელიც ტექნიკურ-ეკონომიური მხრივ დაამუშავებს იმ ცნობებს, რაც საჭიროა ჩარკვის დანადგარის ძირითადი მომხმარებლის—ალუმინის კომბინატის მშენებლობის დასაჩქარებლად. ეს კომბინატი დაამუშავებს ადგილობრივ ალუნიტებს (ადს).

საქართველოს ხილბოსტნეულის მრეწველობის ახალი სტრუქტურა

მოსკოვი, 21 აგვისტო. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტმა წამოაყენა საქართველოს ხილ-ბოსტნეულის მრეწველობის ახალი სტრუქტურა. ამ ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით უნდა მოეწყოს „აჭარხილბოსტანი“ და „სამხრეთ-ოსეთის ხილბოსტანი“, რომელთაც დაეკისრებათ ხილისა და ბოსტნეულის დამზადება და აგრეთვე პირველადი სამრეწველო გადამუშავება. საბჭოთა კავშირის მომარაგების სახალხო კომისარიატმა მიიღო ეს სტრუქტურა. ბრძანებაში სახალხო კომისარიატის მიმართ ამბ. **მიქოიანმა** ახალ სტრუქტურასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიების ვატარება დააკისრა საქართველოს მომარაგების სახალხო კომისარიატს (ადს).

ამერიკის საბჭოთა მეურნეობამ დაამთავრა მოსავლის აღება და შეასრულა პურის ჩაბარების გეგმა

ამერიკის შაქრის ჭარხლის საბჭოთა მეურნეობამ მოსავლის აღების და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების საქმეში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია.

მოსავლის აღებისათვის მოსამზადებელი მუშაობა მეურნეობაში თესვის დამთავრებისთანავე დაიწყო. მაისში შეკეთდა 12 თვითმკვრელი, 4 კომბაინი, 2 სალეწი, 11 ტრაქტორი და 2 საბარგო ავტომობილი.

მოწყობილი იყო 10 დღიანი მოსამზადებელი კურსები კომბაინერებისათვის, 6 დღიანი კურსები თვითმკვრელებზე მომუშავეებისათვის. შემოწმებული იყვნენ ტრაქტორებზე და დანარჩენ მანქანა-იარაღებზე მომაგრებული მომუშავეები.

თავის დროზე მომზადდა საწყობები, ტარა და სასწორები. ცინასწარ მიღებული იყო ხანძრის საწინააღმდეგო ზომები და განსაკუთრებულ ყურადღება ექცეოდა მოსავლის დაცვას: დაყენებული იყვნენ ყანის მცველები დღისით და ღამით.

გეგმის თანახმად ასაღები იყო მოსავალი: პური 612 ჰექტ., ქერი 96 ჰექტ., შვრია 225 და ოხა 35 ჰექტარი. მოსავლის აღება დამთავრდა 4 აგვისტოს. სამუშაო დღეების მიხედვით მოსავალი აღებული იქნა 8 დღის განმავლობაში საშუალოდ გეგმით დაწესებულ 10 დღისა.

კომბაინები სრული დატვირთვით მუშაობდნენ და ასრულებდნენ გამომუშავების ნორმებს. მეურნეობაში მოსავლის აღების ხელს უშლიდა ტრანსპორტის სიმცირე რაც აბრკოლებდა მინდვრიდან მარცვლის გადაზიდვას.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა დანაკარგებთან ბრძოლას. მთელი მოსავალი შეკრიფეს იყო ძნებად, ხელით აკრეფილი იქნა დაბნეული თავთავები.

მოსავლის აღებასთან ერთად მიმდინარეობდა ლეწვაც, 16 აგვისტოსთვის გალეწილი იყო მთელი მოსავალი. საშუალოდ მიღებული იქნა ჰექ-ზე 10 ცენტნერი მოსავალი.

მარცვლეულის სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმა მეურნეობისათვის მიცემული იყო 10.000 ფუთის რაოდენობით, რაც მთლიანად შესრულებული იქნა 4 აგვისტოსთვის. უკანასკნელად წარდგენილ ბალანსის განხილვის შემდეგ მეურნეობას მიეცა დამატებითი ვალდებულება, კიდევ სახელმწიფოსთვის 8885 ფუთი პური, რაც 16 აგვისტოსთვის მთლიანად იქნა შესრულებული.

აგარის საბჭოთა მეურნეობამ ამ წარმატებებს მიაღწია მუშების, სპეციალისტების და პარტიული ორგანიზაციის ბოლშევიკური ხელმძღვანელობის შედეგად. აღსანიშნავია თავდადებული მუშაობა საუკეთესო დამკვრელებმა: **შოფერ სუხიშვილის, კომბაინერ ფილატოვისა, ტრაქტორისტების მაისურაძის, გეკოვის, ლომაშიძის და მუშების ცაკლიუკის, გოლგაზომის და სხვების.**

ამ ამხანაგების გვერდი მოსავლის აღების მთელ პერიოდში ამშვენებენ მეურნეობის წითელ დაფას.

ტ. გოზალიშვილი.

მე-2 ინტერნაციონალის ლიდერები საბოლოოდ გადაბარგდენ ფაშიზმის ბანაკში

კაუცკი, ვანდერველდე და ოტტო ბაუერი ერთხმად იწონებენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული ლიდერების გაგზავნას ბერლინში

ვენა, 20 აგვისტო. მეორე ინტერნაციონალის კონფერენციასთან დაკავშირებით, რომელიც 21 აგვისტოს გაიხსნება პარიზში, სოციალ-ფაშიზმის ბანაკში ცხარობას გაცხოველებული დისკუსია, რაც გამოწვეულია მეორე ინტერნაციონალის პარტიების გაძრწყინა პროცესის გაძლიერებით, ამ ინტერნაციონალის ძირითადი დასაყრდენის—გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაკოტრების შედეგად. დისკუსიაში ყველაზე უფრო დამახასიათებელია მეორე ინტერნაციონალის ლიდერების აშკარა განცდა იმისა, რომ აუცილებელია კლასთა ბრძოლის შესახებ მარქსის მოძღვრების ძირითად პრინციპზე უარისმქმა. ამავე დროს კაუცკი ანტანტის მარქსისტების ორგანო „კამპფში“ მოთავსებულ სტატიაში „სისხლიანი რეფორმიზმი“ გამოსთქვამს აზრს, რომ, სამოქალაქო ომთან შედარებით, რომელიც „ბრძოლის უსინდისო ფორმაა“, იმპერიალისტური ომი „წარმოადგენს ომის უფრო ზომიერ ფორმას“. მეორე მხრივ, საზღვარგარეთ გადახვეწილ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცალკე ლიდერები, რომელნიმაც გაუცვალეს ორლი ოტტო ბაუერს, გამოდიან ანტიფაშისტების ორგანოებისაგან ნასესხები „მემორიტენე“ ფრაზებით სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკის შესახებ.

არაპირდაპირი პასუხი პირდაპირ დასმულ კითხვაზე

პარიზი, 20 აგვისტო. მეორე ინტერნაციონალის მომავალ კონფერენციის განხსნასთან დაკავშირებით გუშინ. შესდგა მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომა. პრეს სის ცნობებიდან ჩანს, რომ ველსი, რომელიც კვლავ ბის ინტერნაციონალის აღმასკომში, გერმანიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ **ადლერის** მოხსენების სასპუხოდ გამოვიდა გერმანიაში მომხდარი ამბების სოციალ-ფაშისტური ბოლშევიკის მოთხრობით. იტალიის წარმომადგენელს მოლდენჰაუერს შეკითხვა—სთქვას თუ არა გერმანიის სოციალ-დემოკრატია საჭიროდ უკანასკნელ თვეებში მომხდარი ამბების შემდეგ ხელი აიღოს ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის პოლიტიკაზე, „ფორეიერტის“ ყოფილი რედაქტორი შტამპფერი დაკმაყოფილდა არაპირდაპირი პასუხით, რითაც გამოიწვია აღმასკომის მიერ მოწონება.

ზოგიერთ ცნობების, კონფერენციას სერთოდ ეშინია „საინფორმაციო“ ხასიათი და მოკიდება ფორმალური გადაწყვეტილებების მიღებას ცხარა-მუხის (ტალანისის რაიონი) კოლ-

ალბანეთი—იტალიის კოლონია
იტალიის მთავრობის თავხედური მოთხოვნილებანი

პარიზი, 20 აგვისტო. „ეკო დე-პარი“ თავისებს ვენიდან მიღებულ კორესპონდენციას, რომელშიც ნათქვამია, რომ იტალიის მთავრობამ კვლავ გააძლიერა თავისი ძალადობა ალბანეთის მიმართ და წარუდგინა მას მთელი რიგი მოთხოვნები, რომელთა განხორციელება ნიშნავს ალბანეთის სრულ დაპყრობას იტალიის მიერ. ეს მოთხოვნები შემდეგია:

1. **ალბანეთის ადმინისტრაციის მთავარ მრჩევლებად უნდა იწოდნენ მხოლოდ იტალიელები. ამასთანავე, მათი აზრი გადამწყვეტი უნდა იყოს.**

2. **იტალიას უნდა მიეყიდოს ალბანეთში მოწეის ყველა ნაკეთი, რომლებზედაც აგებული იყო სამხედრო სიმაგრეები. მათ შორის სამხრეთ-სლავიის ხაზვარზედაც.**

3. **იტალიელი ოფიცრები, რომლებიც მეთაუროობენ ალბანეთის ჟანდარმერიას, უნდა შეიცვალონ იტალიელი ოფიცრებით.**

4. **ალბანეთმა უნდა გააუქმოს ყველა მისი სავაჭრო ხელშეკრულება და დასდოს იტალიასთან ხელშეკრულება პრეფერენციალური საფუძვლებზე.**

ნაციონალ-სოციალისტები კაპიტალისტების ინტერესების სადარაჯოზე
მეურნეობის სამინისტროს სტატს ჰიტლერ გერმანიის სამეურნეო პოლიტიკის შესახებ

ბერლინი, 20 აგვისტო. დანციგში შეიქმნა „გერმანული მოსამსახურეთა კავშირის“ და „გერმანული კულტურისათვის ბრძოლის კავშირის“ კონფერენცია, რომელიც მოწვეული იყო ნაციონალ-სოციალისტების მიერ. კონფერენციას დაესწრენ ნაციონალ-სოციალისტური პარტიის საგარეო-პოლიტიკური განყოფილების ხელმძღვანელი **როზენბერგი,** მეურნეობის სამინისტროს სტატს-მდივანი **ფედერი** და „მეშთათ ფრონტის“ ფაშისტური უნიფიცირებულ პროფკავშირების ხელმძღვანელი ლეი.

კონფერენციაზე სპეციალურ სიტყვით გამოვიდა **ფედერი,** რომელმაც აღნიშნა, რომ „მარქსიზმის უნებლიეთ ჩაბარებით ნაციონალ-სოციალისტური სახელმწიფოს სურს უზრუნველყოს თავისუფალი განვითარება მეწარმისათვის“ და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მეტწილად ქალებისაგან შემდგარ მეურნე ქალებმა 5

საალმშენებლო მასალათა მრეწველობის გეგმების შესრულებაზეა დამოკიდებული ჩვენი ახალი სამრეწველო გიგანტების წარმატებით მშენებლობა ტფილისის საალმშენებლო მასალათა ტრესტი და ქარხნების ხელმძღვანელობის მოუქნელი და არა ოპერატიული მუშაობის შედეგად, საალმშენებლო მასალათა გამოშვების მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა დიდი ჩამორჩენით შესრულდა.

ტფილისის საალმშენებლო მასალათა ტრესტი ცუდათ მუშაობს

ტფილისის საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა საწარმოებმა საალმშენებლო მასალათა დამზადების ექვსი თვის გეგმა მხოლოდ 57 პროც. შეასრულეს. აქედან, ტფილისის საალმშენებლო ტრესტის მიერ გეგმა შესრულებულია 55,7 პროც., ხოლო დამხმარე მასალათა ტრესტის მიერ 64,5 პროც., ტფილისის საალმშენებლო მასალათა მრეწველობამ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სოც. მშენებლობას დააკლო 2635,2 ათასი ცალი აგური, 707 ათასი ცალი კრამიტი და 718 ტონა კირი.

ცუდი მდგომარეობაა შრომის ნაყოფიერების ზრდის და თვითღირებულების შემცირების გეგმების შესრულების მხრივაც; შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა აგურის მრეწველობაში შესრულებულია 79 პროცენტით. თვითღირებულება შემცირების ნაცვლად გაიზარდა 36 პრ. ამასთან ერთად ადგილი აქვს ხელფასის ფონდის გადახარჯვას. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ხელფასის ფონდიდან ვადახარჯულია 83.142 მ.

გეგმების შეუსრულებლობის მიზეზად „ობიექტიურ პირობებს“ ასახელებენ: მუშა-ხელი არ გვყავდა, მომარაგება ცუდი იყო, ტრანსპორტი არ ვარგოდაო და სხვ. ფაქტიურად, ჩამორჩენის მიზეზი ცუდ ხელმძღვანელობაშია. ტრესტისა და ქარხნების ადმინისტრაცია ხელმძღვანელობას განაგრძობენ გაკოტრებული ბიუროკრატიულ - კანცელარული მეთოდით.

სუსტი ყურადღება ექცევა ამხ. სტალინის 6 მითითების გატარებას; აგურის ქარხნები არაა უზრუნველყოფილი მუშა-ხელით; ცუდია კვება და მომარაგება, რის გამოც ადგილი ქონდა ხშირ დენადობას; ექვსი თვის განმავლობაში მიიღეს სულ 152 მუშა, წავიდა 175, ქარხნები კვალიფიციური მუშების დიდ ნაკლებობას განიცდიან. ამავე დროს არა თუ ახალ მუშებს არ ამზადებენ, ძველებიც ვერ შეინარჩუნეს. არ არის აგურის ყველა ქარხნისათვის ერთნაირი გამომუშავების ნორმები და შეფასების ტარიფი, რაც იწვევს დენადობას. თითქმის არაფერია გაკეთებული აგურის ქარხნების მექანიზაციისათვის. მოუწესრიგებელია შინა-საქარხნო ტრანსპორტის მუშაობა: არ არის საკუთარი გადასაზიდი ხაშუალებები, რის გამო გადაზიდვა ხდება ურემებით, რაც იწვევს გადახარჯვას. ქარხანა წვიმიან ამინდში გაჩაღებულია, ხოლო წინა დღეს დამზადებული აგური ფუჭდება წვიმისაგან, რადგან არა აქვთ შესაფარისი ფარდულები. აი, ის მიზეზები, რამაც გამოიწვია გეგმის შეუსრულებლობა.

ივლისში გამოსწორების ნაცვლად კიდევ უფრო რთულდება მდგომარეობა. ტრესტის ხაზით ივლისის გეგმა შესრულდა მხოლოდ 47 პროც. აქედან აგურის გამოწვის გეგმა — 43 პროც., კრამიტის—79,6 პროც., კირის—12 პროც.

ამ მდგომარეობას ყურადღება მიაქცია საქ. სახკომსაბჭოსთან არსებულმა ეკონომიურმა საბჭომ, რომელმაც დასახა ღონისძიებები აგურის ქარხნების მუშაობის გასაუმჯობესებლად. მათ შორის მთავარია მუშახელის ორგანიზებულად შეგროვება, კვალიფიციურ მუშათა კადრის მომზადება, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. ამ ღონისძიებების გატარებისათვის ყოველ დღიური ბრძოლის გარეშე საალმშენებლო მასალათა ტრესტი არა თუ ვერ დაფარავს ექვსი თვის გეგმის დანაკლისს, არამედ შემდგომი გარღვევების საფრთხის წინაშე დააყენებს საალმშენებლო მასალათა წარმოებას.

შ. გზვანელი.



ტფილისის მაუდის ფაბრიკის ტერიტორიაზე მთავრდება საცხოვრებელი სახლის აგება ფაბრიკის საინჟინერო-ტექნიკურ მუშაკებისათვის სახლს ექნება 12 ბინა ყველა მოწყობილობით

1933 წლის საშემოდგომო კულტურების თესვის განაწილების გეგმა

რაიონებისა, კულტურებისა და სექტორების მიხედვით

მიღებულია საქართველოს მიწსახკომის მიერ

(დამტკიცებულია საქ. სახკომსაბჭოსა და საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრ. კომიტეტის მიერ ა/წ აგვისტოს 17-ს)

(იხ. ა/წ აგვისტოს 20 ის „კომუნისტი“)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები	საერთო ფართობი: საბჭოთა მეურნეობა	საკოლმეურნეო სექტორი	მათში კოლმეურნეობანი, რომელთაც ემსახურება საქ. სახკომსაბჭოს ს.-ტრაქტ. სადგური	ჯერობირთვული მეურნეობანი	ს უ ლ	მათ შორის: შემოდგომის ხორბალი: საბჭოთა მეურნ.	საკოლმეურნეო სექტორი	მ თ შ-ის კოლმეურნ. რომელთაც ემსახურ. სამანქ. სატრაქტ. სადგური.	ჯერობირთვული მეურნეობანი	ს უ ლ	შემოდგომის ქერი: საბჭოთა მეურნეობანი	საკოლმეურნ. სექტორი	მათში კოლმეურნ. რომელთაც ემსახ. სამ სატ. სადგურ.	ჯერობირთვული მეურნეობანი	ს უ ლ
1. ახალქალაქის	200	665	553	385	1250	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
2. ახალციხის	—	768	—	3492	4260	—	768	—	3492	4260	—	—	—	—	—
3. ადიგენის	—	1017	—	1483	2500	—	1017	—	1483	2500	—	—	—	—	—
4. ტოლოშის	—	486	—	914	1400	—	486	—	914	1400	—	—	—	—	—
5. სტალინისის	10	8865	8241	11870	20745	—	8685	8106	11815	20500	—	145	100	55	200
6. გორის	161	7089	7086	10564	17814	146	6700	6700	10300	17146	15	219	219	216	450
7. კასპის	30	4390	4004	4954	9374	20	4140	3954	4675	8835	10	248	48	272	530
8. ბორჯომის	—	10	—	160	170	—	10	—	160	170	—	—	—	—	—
9. გურჯაანის	—	1965	1876	15069	17034	—	1856	1856	14584	16440	—	83	—	457	540
10. ხიდისის	11981	11387	8223	22016	45384	10000	8900	6480	19500	36400	1180	2030	1286	2510	5720
11. თელავის	122	2970	2790	17977	21069	88	2685	2570	16987	19760	28	223	159	959	1210
12. ყვარელის	2	992	992	9379	10373	2	918	918	8790	9710	—	27	27	533	560
13. ლაგოდეხის	13	6351	6351	3116	9480	5	5538	5538	3067	8610	4	287	287	49	340
14. ტფილისის	191	4981	—	15936	21108	60	3705	—	12315	16080	50	951		3469	4470
15. ყარაიასი	657	1503	1393	310	2470	436	1224	1124	300	1960	131	129	129	—	260
16. ბორჩალოს	301	5010	4084	5700	11011	150	3943	3057	5207	9300	150	367	327	493	1010
17. ლუქსემბურგის	—	2153	—	5207	7360	—	1700	—	4300	6000	—	358	—	832	1190
18. დუშეთის	—	2612	—	5538	8150	—	2185	—	4615	6800	—	427	—	923	1350
19. ალბულაღ-მანგლისის	—	3090	—	9910	13000	—	2500	—	8400	10900	—	530	—	1470	2000
20. საგარეჯოს	753	2145	2060	8573	11471	330	1910	1835	8010	10250	322	185	175	563	1070
21. ბაშკიჩეთის	—	868	—	3632	4500	—	844	—	3622	4466	—	24	—	10	34
22. თიანეთის	—	1660	—	2740	4400	—	1660	—	2740	4400	—	—	—	—	—
23. სტალინირის	122	1450	—	3152	4724	48	1450	—	3152	4650	72	—	—	—	72
24. ზნაურის	—	3540	—	660	4200	—	3540	—	660	4200	—	—	—	—	—
25 ჯავის	—	130	—	125	255	—	125	—	125	250	—	5	—	—	5
26. ლენინგორის	—	1520	—	1530	3050	—	1515	—	1525	3040	—	5	—	5	10
სულ სამხრეთ ოსეთში	122	6640	—	5467	12229	48	6630	—	5462	12140	72	10	—	5	87
სულ აღმოსავლ საქ.	14543	77617	47653	164392	256552	11285	68004	42138	150738	230027	1962	6243	2757	12816	21021
27. ქუთაისის	42	82	82	428	552	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
28. სამტრედიის	48	111	—	209	368	10	—	—	—	10	—	—	—	—	—
29. ხონის	6	45	—	90	141	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
30. ვანის	37	22	—	38	97	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
31 ჭიათურის	—	520	—	2080	2600	—	520	—	2080	2600	—	—	—	—	—
32. ონის	—	1850	—	750	2600	—	1850	—	750	2600	—	—	—	—	—
33. ამბროლაურის	—	3230	—	70	3300	—	3230	—	70	3300	—	—	—	—	—
34. ცაგერის	—	1200	—	1800	3000	—	1200	—	1800	3000	—	—	—	—	—
35. სენაკის	2	19	—	11	32	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
36. ზუგდიდის	1	11	—	29	41	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
37. ხობის	1	—	—	—	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
38. ოზურგეთის	42	15	—	—	57	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
39. ზ. სვანეთის	—	—	—	300	300	—	—	—	300	300	—	—	—	—	—
40. ფოთის	—	3	—	7	10	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
41. აბხაზეთის ს. ს. რ.	322	815	200	705	1842	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
42. აჭარისტანის ს. ს. რ.	7	25	—	5	37	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
სულ დასავლეთ საქ.	508	7948	282	6522	14978	10	6800	—	5000	11810	—	—	—	—	—
სულ რესპუბლიკაში	15051	85565	47935	170914	271530	11295	74804	42138	155738	241837	1962	6243	2757	12816	21021

კოოპერატიული გიშრო კრატები

(მაღაათლების მუშაკის წერილი)

მე ვარ განთლების მუშაკი-ინვალიდი. 1931 წელს ჯვართელების მდგომარეობის გამო მე ძალუდებული შევიქენი გამომეცვალა საცხოვრებელი ადგილი „კრასნოარსკიდან (ალმოსავლეთ ციმბირი) მე გადავსახლდი ბათომში. დავიწყე რა სამსახური პოლიტეკნიკური შრომის ინსტრუქტორად ბათომის პედაგოგიურ ტექნიკუმში, მე წარვუდგინე ქალაქის კოოპერატივს ჩემი და ჩემი ცოლის კოოპერატიული წიგნაკები და ვთხოვე ჩავერიცხეო მეპასუხეს, რომ საჭირო ა ამ წიგნაკის გადაგზავნა კრასნოარსკის კოოპერატივში, რომელიც წიგნაკების ნაცვლად გამოგზავნის ცნობებს და მხოლოდ მათი მიხედვით შეუძლია ბათომის კოოპერატივს გადარიცხოს კრასნოარსკში შეტანილი სამაო შესატანი. მე გავგზავნე წიგნაკები კრასნოარსკში, პასუხი არ სჩანს, ვგზავნი შეკითხვას. მიპასუხებენ, რომ ცნობები გამოგზავნილი. თურმე წერილი ცნობებთან ერთად დაკრულა ფოსტაში. მე ერთხელ კიდევ ვთხოვე გაგზავნათ ცნობები. ამაზე უარი მითხრეს იმ მიზეზებით, რომ წინათ მე ვყოფი სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოების (კრასნოარსკში) მეპატენტე. მართალია, წინათ მე ვიყავი სატრ.-სამომხმ. საზ-ბის მეპატენტე, მაგრამ როცა ის სკოლა, სადაც მე მასწავლებლად ვიყავი, განათლების განყოფილების გამგებლობაში გადავიდა. მე გადამიყვანეს ქალაქის კოოპერატივში. სატრ. სამომხმ. საზ-ში შეტანილ მქონდა საპაიო გადასახდელი 61 მან. და 25 კაპ. ხოლო ქალაქის კოოპერატივში— 20 მან. და 25 კაპ.

ბოლოს, ერთი წლის დავიდარაბის შემდეგ, მივიღე კრასნოარსკიდან ცნობები 61 მან. და 25 კაპ. შეტანის შესახებ. როცა ეს ცნობები წარვუდგინე ბათომის კოოპერატივს, იქ მიპასუხეს, რომ, ახალი განკარგულების თანახმად, ახლა წარმოდგენილი უნდა იქნას წიგნაკები და არა ცნობები. მირჩიეს დამებრუნებინა ცნობები კრასნოარსკში და მათ ნაცვლად მიმეღო წიგნაკები, რის შემდეგაც მე და ჩემი ცოლი ვიქნებოდით ჩარიცხული ბათომის კოოპერატივის წევრებად. მე მივმართე სხვადასხვა კოოპერატიულ დაწესებულებებს, მაგრამ უშედეგოდ, იძულებული გავხდი დამებრუნებინა ცნობები „კრასნოარსკში, მაგრამ წიგნაკების დაბრუნებაზე კატეგორიული უარი მითხრეს.

მივმართე ხელოვნების მუშაკთა კავშირს ჩემი განცხადება მიიღეს, მაგრამ შემდეგ მიპასუხეს—„ვერაფერით ვერ დაგეხმარებითო“.

მ. ა. ივანოვი

ამხ. ივანოვმა დაწერილს ჭ. კრასნოარსკის სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების ცნობები 1932 წლის 23 ივლისის თარიღით №№ 5007 და 6641, საიდანაც სჩანს, რომ მ. ა. ივანოვი და ვ. ი. ივანოვა ირიცხებოდნენ საქარხნო სამომხმარებლო საზოგადოების წევრებად და რომ მათი პაის ნაწილი შეადგენს 61 მან. და 25 კაპ. საქარხნო სამომხმარებლო საზოგადოება კისრულობს ეს თანხა დაუწესებულ ვადაში გადაუგზავნოს იმ კოოპერატივს, რომელშიაც შეეკვლენ აღნიშნული პირები.

ბათომის და კრასნოარსკის კოოპერატივების მიერ გამოჩენილი ბიუროკრატიზმი მოითხოვს „ცენტროსოიუზის“ და პროკურატურის ორგანოების დაუყოვნებლივ ჩარევას ამ საქმეში.

„პრავდა“, 21 აგვისტო.

თფილისისა და გაკოს წარმოეგის დაჯილდოება

„მე-2 ხუთწლედის“ სესხის წარმატებით რეალიზაციისათვის

მოსკოვი, 20 აგვისტო. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმთან არსებულმა სახელმწიფო კრედიტებისა და საშემახვეულო საქმის ხელისშემწყობ ცენტრალურმა კომისიამ, საკავშირო პროფსაბჭომ და საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა დაადგინეს დაჯილდოვონ „მეორე ხუთწლედის“ სესხის რეალიზაციაში წინწასული ტფილისისა და გაკოს ფაბრიკა-ქარხნები.

გაკოლი დაჯილდოებულია სტრუქტას სახელობის ნაჭრის ქარხანა, საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის სახ. სესხებისა და საშემახვეულო საქმის ხელისშემწყობი ცენტრალური კომისიის საპატიო სიგელით და 2000 მანეთით ქარხნის საუკეთესო დამკერალთათვის, შმიდტის სახელობის ქარხანა, ბაქოს ელექტროსადგური, აზნაურთის ლენინის სარეწაო მესამე საექსპლოატაციო ჭა ამქრო, ქარელ მარქსის სახელობის ელექტროდენი, ილიჩის ბუხრეას სარეწაო, აზნაურთის სტალინის სარეწაოს მეორე წითელდროშოვანი ნავთობის ქარხანა, ა.-კ. ს.ფ.ს. რ-ის გემების შემკეთებელი სახელოსნოები, ვაბო სტურას სახელოსნოების გემების შემკეთებელი ქარხანა და არტემის კუნძული მიიღებენ სახ. სესხების ხელისშემწყობი ცენტრალური კომისიის სიგელებს. ბაირამოვის სახელოსნოს სამკერვალო ფაბრიკა მიიღებს 1000 მანეთს, პიატაკოვის სახელოსნოს ქარხანა დაჯილდოებულია სახელმწიფო კრედიტის დამკვრელის ჟეტონით, გარდა ამისა, ხელისშემწყობი ცენტრალური კომისიის სიგელებით დაჯილდოებულია ბაქოს გაზეთები: „ბაქინსკი რაბოჩი“ და „კომუნისტი“.

ტფილისში დაჯილდოებულია: **კალინინის სახელობის ქარხანა, ტრამვაის ტრესტი, მაუდის ფაბრიკა, „26“ კომუნარის სახელობის ქარხანა, ბამბის ფაბრიკა და ორთქლმავალ-ვაგონების სარემონტო ქარხანა.** ყველა ესენი მიიღებენ სახ. სესხების ხელისშემწყობი ცენტრალური კომისიის სიგელებს. სახ. კრედიტის ხელისშემწყობი ცენტრალური კომისიის სიგელებს.

ამხ. სიმონ ხუნდაძის გარდაცვალება

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი უღრმესი მწუხარებით იუწყება კომუნისტ-მწერლის, ქართული ლიტერატურის და საზოგადოებრივი აზროვნების მკვლევარის ამხ. სიმონ ხუნდაძის გარდაცვალებას.

გუშინ, 21 აგვისტოს, ტფილისში უეცრად გარდაიცვალა კომუნისტი მწერალი - პუბლიცისტი და ქართული ლიტერატურის და საზოგადოებრივი აზროვნების მკვლევარი ამხ. **სიმონ ხუნდაძე.**

სიმონ ხუნდაძე ეკუთვნოდა ლიტერატურის ფრონტზე მომუშავე კომუნისტ - კრიტიკოსთა მოწინავე ჯგუფს. მან თავის ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მრავალი თვალსაჩინო შრომებით გაამდიდრა ქართული ლიტერატურათმცოდნეობა და განსაკუთრებით ნაყოფიერი მუშაობა აწარმოა ქართული ლიტერატურის ისტორიის კვლევის დარგში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამხ. ს. ხუნდაძე არაპოლიტიკური ინტელიგენციის ფენებიდან ერთი პირველთაგანი მივიდა კომუნისტურ პარტიულ

პარტიული მშენებლობა

სანარმოლო დავალებათა ნარმატებით შესრულება

თვითეული კომუნისტის საბრძოლო ამოცანაა

მუშა ბოლშევიკების სიტყვა და საქმე

(ამხ. სტალინის სახ. სარემონტო ქარხანა)

— ჩვენი საამქრო გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს. გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებით ბევრი რამ გავაკეთეთ ჩვენი პარტიის ც. კ-ის და სახკომსაბჭოს ისტორიული დადგენილების განხორციელებისათვის ტრანსპორტის შესახებ, მაგრამ ამ დადგენილების რეალიზაციისათვის აღებული ტემპები ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, — აღნიშნა დაიწყო თავისი მოხსენება პარტუჯრედის კრებაზე თუჯის ჩამოსხმის ლაბორატორიაში ამხ. **რაზმაძემ** ჩამომსხმელ საამქროში ც. კ-ისა და სახკომსაბჭოს დადგენილების რეალიზაციის შესახებ.

ამხ. რაზმაძე მიუთითებდა ციფრებზეც.

— **214 ტონა თითბერი, 215 ტონა თუჯი**—ასეთი იყო ივლისის დავალება,—ამბობდა ამხ. **რაზმაძე**, — ჩვენი საამქროს ბოლშევიკების თავდაღებული მუშაობით გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. თითბერის ჩამოსხმის—**116,3 პროც.**, თუჯის — **166,7 პროც.**,—აი ჩვენი გმირული ბრძოლის ბრწყინვალე მაგალითი, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით წუნისა და თვითღირებულების შემცირებაზე. წუნი კვლავ იჭერს თავის ადგილს ჩვენს საამქროში. მარტო მეორე კვარტალში ჩამოსხმული თითბერის 3,6 პროც. წუნი, უეარგისი გამოდგა, თუჯის კი 2,7 პროც. სრულიად გამოუსადეგარი, იგივე უნდა ვთქვათ თვითღირებულების შემცირებაზე. ჩამოსხმის ხარისხი ჩვენს საამქროში უეჭველად იზრდება, მაგრამ არასაკმაო ტემპით; თვითღირებულების შემცირებაში წინ მივდივართ, მაგრამ ნელი ნაბიჯით; წუნის მოსპობილად გვაქვს მიღწევები, მაგრამ სრულიად არასაკმარისი.

ასე ახასიათებს მდგომარეობას ამხ. რაზმაძე. იგი ბევრ საგულისხმო მომენტზე მიუთითებს. კვირიდან ლაპარაკობს საამქროს ადმინისტრაციის ყველ კიდევ მოუქნელ მუშაობაზე, ბრიგადების ნელ მასალით არასაკმაოდ მომარაგებაზე.

— და, მიუხედავად ამ დაბრკოლებებისა, გეგმები სრულდება. ჩვენი საამქროს იზოტოვი კომუნისტები ჩვეული ბოლშევიკური ენერგიით და ენტუზიაზმით იძლევიან შემოქმედებითი ბრძოლის სასწაულებს, ავიღოთ, მაგალითად, ამხ. ლორთქიფანიძე, თოდაძე, კიკალეიშვილი, ვინეცკი, გოგიძე და მათთან ერთად მრავალი სხვა. განა რომელიმე თვეს განს გაუვია მათი ჩამორჩენის შესახებ? ამ ამხანაგების მუშაობის სტილი მარტო იმაში კი არ მდგომარეობს რომ საკუთარი სამუშაო მოაწყონ კარგად. არა. ამას გარდა მათ შესძლეს წარმოების ახალგაზრდა მუშების გამოყვანა ეფექტიური შეჯიბრების გზაზე,—იზოტოვური მოძრაობის აზრიც ხომ ეს არის.

თანამოხსენებით გამოვიდა პარტუჯრედის მდივანი ამხ. **ხიდაშელი**, შემდეგ გაიხსნა კამათი.

— თქვენ კითხულობთ, რატომ გვაქვს წუნი, ან რატომ ვერ შევამციროთ ათანაბრათ თვითღირებულება? — ლაპარაკობს **ძია სტეფანე (ამხ. სტეფანე გარიშვილი)**, 40 წლის ჩამომსხმელი, 1898 წლიდან პარტიის წევრი, შრომის გმირი, რომელსაც მკერდს უმშვენებს შრომის წითელი დროშის ორდენი.

— ამის მიზეზი არის ჩვენი მუშაობის ჯერ კიდევ ცუდი ორგანიზაცია. აბა რით უნდა აიხსნას ის, რომ საამქროს ახალგაზრდა ინჟენერმა ჩვენ, ძველ მუშებს, არ დაგვიჯერა, მოგვაწოდა ნედლი მასალა აოასკამოდ და თანაც დაბალი ხარისხის; რა თქმა უნდა, ამის გამო ვერ მოვაპეთ წუნი, ვერ შევინარჩუნეთ ჩამოსხმის მაღალი ხარისხი.

ძია სტეფანე მოითხოვს პარტუჯრედმა გამოიტანოს მკაცრი გადაწყვეტილება ამ მდგომარეობის წინააღმდეგ. ამას გარდა იგი მიუთითებს, რომ საამქროს ადმინისტრაცია არ დგას საწარმოო ბრიგადებთან ახლო. ადმინისტრაციამ ვერ ეაგო სწორად პარტიისა და მთავრობის დადგენილება სოციალისტური ტრანსპორტის მუშაობის გარდაქმნის შესახებ და ხშირად კმაყოფილება „საერთო“ მითითებებით—ეს არ ვარგა, ამას ჩვენ, კომუნისტებმა და ძველმა მუშებმა, პირველად უნდა დავარტყათ, — ახე ამთავრებს თავის სიტყვას ძია სტეფანე.

